პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 19 სექტემბერი № 221 (16651) ფასი 2 კაპ. 1976

საკლესიო ცნობა

„სოიუზ-22“: ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 18 სექტემბერი. (საკდესი). კოსმონავტების ვალერი ბიკოვსკისა და ვლადიმერ აქსიონოვის სამუშაო დღე დღეს დაიწყო მოსკოვის დროით 5 საათსა და 50 წუთზე. ეკიპაჟმა ფოტოსურათები გადაუღო მთვარეს, კერძოდ, დედამიწის ჰორიზონტზე მისი ჩასვლისა და ამოსვლის დროს. ექსპერიმენტის მიზანია ხომალდის ფოტოაპარატურისა და ილუმინატორის ოპტიკურ მახასიათებელთა გაზომვა, აგრეთვე დედამიწის ატმოსფეროს ოპტიკური თვისებების შესწავლა.

სამუშაო დღის პროგრამაში დედამიწის ზედაპირის ფოტოგრაფირება სახოფლო და

სატყეო მეურნეობის, გეოლოგიის ინტერესებისათვის. მრავალზონიანი ფოტოაპარატურის მეოხებით გადაღება მიმდინარეობს შუა აზიის, უკაზასეთისა და ცომბირის რაიონებში. ადრე ფოტოსურათები გადაუღეს ყირიმის ნახევარკუნძულს, [illegible] ვოლგოგრადის რაიონებს, ჩვენი ქვეყნის ევროპული ტერიტორიის [illegible] ტყეებს.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „სოიუზ-22“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს, ხომალდის ნაკვეთურებში მიკროკლიმატის პარამეტრები გათვალისწინებულ ფარგლებშია. ამხანაგები ბიკოვსკი და აქსიონოვი თავს კარგად გრძნობენ.

ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდება.

ეთის სიკეთე ხალხის სამსახურში

ოფელი მულახი კავკასიონის კალთებზე, ზღვის დონიდან 1.500 მეტრზე მდებარეობს. ადრე ამ მთიანი სოფლის მცხოვრებთა საყირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად არცთუ ისე გულმხურვალებას იჩენდნენ მესტიის რაიონული ორგანიზაციები. ამიტომ გულდასაწყვეტი და სამდურავი ბევრი ჰქონდათ აქაური გამრჯე მშრომელებს.

ეს იყო არც ისე შორეულ წარსულში. ახლა?

უთუოდ იგრძნობა დიდი მზრუნველობა და კეთილი ხელის გავლენა. მარტო წლეულს ამ სოფელში აშენდა 8-წლიანი სკოლის, უნივერმაღის საუკეთესო შენობები, საყოფაცხოვრებო მომსახურების რამდენიმე კეთილმოწყობილი ობიექტი, მომძლავრდა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, წარმატებით სრულდება გეგმები. სოფლის სიკეთისათვის ენერგიულად შრომობენ კომუნისტები, სასოფლო საბჭოს დეპუტატები, აქტივისტები. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა ადამიანების განწყობაზე, სოფლისადმი, საზოგადოებრივი საქმისადმი დამოკიდებულებაზე. ახლა მულახელები ნამდვილად გულით, ერთგულად და ენერგიულად შრომობენ. ანაზღაურებაც კარგი აქვთ და საერთოდ მათი ცხოვრების დონეც საგრძნობლად ამაღლდა. მარტო ის რად ღირს, რომ უკანასკნელ ხანს მშობლიურ სოფელს 15 კაცი დაუბრუნდა, რომლებიც სხვა რაიონში სამუშაოდ იყვნენ წასული. ახლა ისინი საზოგადოებრივ შრომაში არიან ჩაბმული.

მთიანი სოფლის ცხოვრებაში ასეთი სახიკეთო ძვრები შემთხვევითი როდია. მისი მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის უკანასკნელ წლებამდე, სამწუხაროდ, თავს არავინ იწუხებდა. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებდა ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლაზე, აფერხებდა მთიანი სოფლების ეკონომიკის განვითარებას, ხელს უწყობდა მოსახლეობის მიგრაციას და ხშირად ცალკეული უბნები კი არა, არამედ მთელი სოფლები ცარიელდებოდა.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში შექმნილმა ვითარებამ, დიდმა და სასიკეთო ძვრებმა, მაცოცხლებელმა მძლავრმა მდინარემ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მესაზღვრე პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე აქტუალურ საკითხებზე.

ცხადი და ნათელია, თუ რა მნიშვნელოვანი სიკეთე მიიღეს უკანასკნელ წლებში მაღალმთიანი სოფლების მშრომელებმა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა გაეწიოთ წლების მანძილზე ჩამორჩენის გამოსწორებისათვის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრისათვის. ნაკლოვანებები და ხარვეზები კი მართლაც ისევ ბლომად გვაქვს. მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოს 1.000-ზე მეტი დასახლებული პუნქტი ჯერ კიდევ მოკლებულია ყოველგვარ საყოფაცხოვრებო მომსახურებაა, მრავალსმეტყველი და ბევრის მთქმელია.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოების მოქმნილ, უნარიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სოფლების კეთილდღეობისა და სიუხვეთა სოციალურ-კულტურული მშენებლობის წარმატებები. საბჭოები, მუდმივი კომისიები, დეპუტატები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მუდამ უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ჩვენს ადამიანებს შევუქმნათ მუშაობისა და ცხოვრების, გართობისა და დასვენების ნორმალური პირობები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგ ჩვენს მთიან სოფლებში სხვა საკეთეს რომ თავი დავანებოთ, რადიოხაზიც კი არ არის გაყვანილი. ასეა, მაგალითად, ჩოხატაურის და ზოგიერთი სხვა რაიონის მრავალ მთიან სოფელში. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მართლაც რომ სამარცხვინოა. ასეთი უარყოფითი ფაქტები მნიშვნელოვნად უშლის ხელს მშრომელთა მომსახურების შემდგომ ამაღლებას. განა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელები რომ გულითადად ზრუნავდნენ საქმის საკეთილდღეოდ, რადიოხაზის გაყვანა გაჭირდებოდა? რა თქმა უნდა, არა.

მხოლოდ მონდომება, შემართება, საქმის სიყვარული, ადამიანების კეთილდღეობისთვის მუდმივი ზრუნვა, საზოგადოებრივი მოვალეობის დიდი პასუხისმგებლობა უნდა ახასიათებდეს იმათ, ვინც მასების სათავეშია, ვისაც სოფლად ხელმძღვანელი პოსტები უჭირავს და ყველა სიკეთით სარგებლობს. საჭიროა ადგილებზე პირადი და კოლექტიური ინიციატივა ამა თუ იმ საქმის მოსაგვარებლად.

მთიანი სოფლების სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა, შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედებისათვის ბრძოლა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მუდმივი საზრუნავი და საპატიო მოვალეობა უნდა გახდეს.

უმჯობესია, თუ ადამიანი, ადგილობრივი ადამიანი, ადგილობრივ ინტერესებს, ადგილობრივ ინიციატივას, ადგილობრივ ენერგიას, ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიურ, ეროვნულ-ეთნიკურ, ტრადიციულ-ისტორიულ, ფსიქოლოგიურ-ეროვნულ ნიშნებს ეფუძნებოდეს. ეს ბევრ, ბევრ, ბევრ,

მსოფლიოს პრესა

საკვლევი და უცხოეთის პრესის საკვლევლოები იტყობინებიან

ფაქტები პროგლემები

სიონისტთა ხმის მაძიებელნი

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა არჩევნებისწინა პოლიტიკური ფანდი

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო კამპანიის მოახლოებული დამთავრების პერიოდში პრეზიდენტობისკანდიდატებმა რესპუბლიკელებისა და დემოკრატებისაგან ჯ. ფორდმა და ჯ. კარტერმა კვლავ გამომეზეურეს სსრ კავშირი ეგრეთ წოდებული „ებრაელთა საკითხი", რომელიც ცილისმწამებლური მიზნით შეთხზეს საბჭოთა კავშირის მტრებმა. ორივე პრეტენდენტმა ეოთდროულად გააკეთა განცხადება ამ თემაზე.

ამგვარ მონაჭორებს არაერთგზის გაეცა ღირსეული და მკაფიო პასუხი, არაერთხელ აღინიშნა, რომ ებრაული ეროვნების მოქალაქენი, ისევე როგორც სხვები, საბჭოთა კავშირში სარგებლობენ სრული და თანასწორი უფლებებით. ამასთან ყველამ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატებმაც აღნიშნეს ერთგულ იქიან, რომ საკითხები, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეების მოქმედებას ეხება, განიხილებინენ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას.

ცხადია, რომ ეედღევანდელ პოლიტიკური თანხის „ებრაულ" ფანტომებს ნაკარნახევია მხოლოდ ამით, რომ მომავალ არჩევნებში დაზღვეული იყვნენ პირველადობა. დამეხასიათებელია, რომ ამ თავის სპეციალიზაციაში მისი „ავტორები" ხელოვნურად იმოწმებენ სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტს.

თუ გავიხსენებთ საკითხებს, რომლებსაც ნამდვილი დამოკიდებულება აქვთ საბოლოო აქტთან, ასეთი პრობლემები „რამდენიც" ანბავთ იმდენია თვით შეერთებულ შტატებშიც. ავიღოთ თუნდაც რასობრივი დისკრიმინაცია, ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა, მოქალაქეობრივ უფლებათა ფხეშა მასობრივი დარღვევა გამოძიების ფედერალური ბიუროსა და „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს" მიერ. როგორც ამერიკის პრესა აღიარებს, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს საღაზვერვო-პოლიციურ ოწყობებთან ერთად თავლყურს ადევნებს ასობით კერძო, ფინანსური, საკრედიტო და საკავშირო კომპანია, რომელთა სიიაში, კონგრესის მონაცემების თანახმად, 120 მილიონ კაცზე შედგენილი ენობები ინახება.

მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატები თავიანთ გამოსვლებში ვერაფს ვერიან დღეანდელი ამერიკის ამგვარ პრობლემებს, და ამბობენენ ჩაერიონ სხვა ქვეყნების საქმეებში, რომლებიც მათ სრულიად არ ეხება.

ჟენევა

მტკიცე პროტესტი

პანამა, (საკდესი). პანამის მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერევა ქვეყნის საშინაო საქმეებში.

სავარეო საქმეთა მინისტრმა აკილინო ბოი

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ მუშაობაში ლენინური სტილის დანერგვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ყოველთვის, განსაკუთრებით კი კომუნისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე. ამ სტილის დამკვიდრებისათვის ენერგიულ ბრძოლას უნდა ვუმადლოდეთ პოზიტიურ ცვლილებებს, რომლებიც უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში და რომლებიც ნათლად, მკაფიოდ აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის ცნობილ დადგენილებაში.

ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლეულში ახალი დიდი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კარგად დაფინანსებული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი.

ამ სტატიაში მინდა მკითხველებს მოვუთხრო ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობაზე, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიკომების მიზანსწრაფოული, ეფექტიანი მოღვაწეობა.

მოგეხსენებათ, საამისოდ ბევრი რამ შეკეთდინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომელშიც ღრმად, მეცნიერულად იქნა გაანალიზებული და დასახული შესრულების შიმოწმებისა და კონტროლის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

უკანასკნელ ხანებში პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომი სისტემატურად განიხილავდა ბიუროს სხდომებსა და რაიკომის პლენუმებზე საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული პირველად საქმე ორგანიზაციებში არსებულ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების საქმიანობასთან. მოსმენილ იქნა რაიონის ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მოხსენებები ამ საკითხებზე. დიდი ხანი არ არის, რაც პარტიის რაიკომმა მოაწყო ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების თავმჯდომარეთა სემინარები

სემინარებზე განსაკუთრებით ვამახვილებთ პარტორგანიზაციათა მდივნების ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ პარტიული კომისიები კონტროლს ახორციელებენ პარტორგანიზაციის სახელით და არ წარმოადგენენ პარტორგანიზაციასთან არსებულ პარალელურ განსაკუთრებულ ორგანოს.

მთავარი კი ამ კომისიების საქმიანობაში უნდა იყოს არა უარყოფითი ფაქტების რეგისტრაცია, არამედ მათი წარმოშობი პირობების შეხწავლა.

შემოწმებათა შედეგებს, თავის დასკვნებსა და წინადადებებს კომისია უდგენს პარტბიუროს, პარტკომს, რომლებიც შესაბამისად ეხმაურებიან და საქმის კურსში აყენებენ სამეურნეო ხელმძღვანელებს.

სწორედ ამ კომისიების საშუალებით „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტში, „თბილგვირაბმშენში“ ოპერატიულად იქნა გამოვლენილი ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის, უყაირათობის მაგალითები.

აღსანიშნავია, რომ მრავალმა კომისიამ განსაკუთრებით გააკეთა ურა მუშაობა ტამბოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ

კომისიების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოების ტექნიკური სრულყოფის, მისი ეფექტურობის, გამოშვებული პროდუქციისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მაგალითად, სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მუშაობაში სიახლედ უნდა ჩათვალოს ის, რომ ბიუროსა თუ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების ყოველი დადგენილების შემდეგ პარტკომი კომისიის უშუალო მონაწილეობით ადგენს და ამტკიცებს სპეციალურ გეგმას ამ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციული და პოლიტიკური უზრუნველყოფის მიზნით.

კომისიის წევრები უშუალოდ მონაწილეობენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დამუშავებასა და დანერგვაში. კომისიის მეშვეობით ბევრი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის საგულისხმო წინადადებებსა და წამოწყებებს დაეხმარა მხარი წარმოებაში დასანერგად.

„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოში ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლს სამი პარტიული კომისია ახორციელებს. ესენია სამუშაოთა ხარისხის, მუშაოთა კოლექტივებისა თვის შრომითი პირობების უზრუნველყოფისა

ᲒᲘᲖᲐᲜᲡᲬᲠᲐᲤᲣᲚᲘ, ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

დარგების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ თემას პარტიული ორგანიზაციების მდივნების ორდღიან სემინარზეც.

ამჟამად ჩვენს რაიონში მოქმედებს 182 პარტიული კომისია, რომელთა შემადგენლობაში არჩეულია 584 კომუნისტი, ამათგან 136 მუშა და 173 ქალია.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიის მუშაობა უფრო ღრმა და ეფექტურია იქ, სადაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმებს: შრომითი კოლექტივების საკვანძო ამოცანების განხილვას პარტიულ კრებებზე, პარტბიუროებისა და პარტკომიტის სხდომებზე, სამეურნეო ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენას და რეკომენდაციების შემუშავებას მუშაობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით, კომისიების მიერ წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ყოველდღიურ კონტროლს.

ᲛᲘᲖᲐᲜᲡᲬᲠᲐᲤᲣᲚᲘ, ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲔᲑᲖᲔ განსაკუთრებით ვამახვილებთ პარტორგანიზაციათა მდივნების ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ პარტიული კომისიები კონტროლს ახორციელებენ პარტორგანიზაციის სახელით და არ წარმოადგენენ პარტორგანიზაციასთან არსებულ პარალელურ განსაკუთრებულ ორგანოს.

მთავარი კი ამ კომისიების საქმიანობაში უნდა იყოს არა უარყოფითი ფაქტების რეგისტრაცია, არამედ მათი წარმოშობი პირობების შეხწავლა.

შემოწმებათა შედეგებს, თავის დასკვნებსა და წინადადებებს კომისია უდგენს პარტბიუროს, პარტკომს, რომლებიც შესაბამისად ეხმაურებიან და საქმის კურსში აყენებენ სამეურნეო ხელმძღვანელებს.

სწორედ ამ კომისიების საშუალებით „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტში, „თბილგვირაბმშენში“ ოპერატიულად იქნა გამოვლენილი ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის, უყაირათობის მაგალითები.

აღსანიშნავია, რომ მრავალმა კომისიამ განსაკუთრებით გააკეთა ურა მუშაობა ტამბოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ

კომისიების მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოების ტექნიკური სრულყოფის, მისი ეფექტურობის, გამოშვებული პროდუქციისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. მაგალითად, სსრკ 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მუშაობაში სიახლედ უნდა ჩათვალოს ის, რომ ბიუროსა თუ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების ყოველი დადგენილების შემდეგ პარტკომი კომისიის უშუალო მონაწილეობით ადგენს და ამტკიცებს სპეციალურ გეგმას ამ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციული და პოლიტიკური უზრუნველყოფის მიზნით.

კომისიის წევრები უშუალოდ მონაწილეობენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დამუშავებასა და დანერგვაში. კომისიის მეშვეობით ბევრი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის საგულისხმო წინადადებებსა და წამოწყებებს დაეხმარა მხარი წარმოებაში დასანერგად.

„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოში ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლს სამი პარტიული კომისია ახორციელებს. ესენია სამუშაოთა ხარისხის, მუშაოთა კოლექტივებისა თვის შრომითი პირობების უზრუნველყოფისა

ᲒᲠᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲐᲠᲓᲐᲛᲔᲐᲠ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ცოდნის“ რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობათა გაერთიანებისა ფილიალი, რომელიც ამ დღეებში ეკამათება, შესანიშნავი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიოსმა თ. დავითაიამ.

საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კოპაზიამ გაკეთებულ მოხსენებაში თქვა: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისაღმი პლენუმის გადაწყვეტილებები და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა ამოცანები“

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თეორიის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. სტარინა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ზახრაბაშვილი, საქართველოს კომპარტიის ჩოფლიანთის რაიონის მდივანი ნ. ფოფხაძე, მშრომელთა დეპუტატთა საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი ი. ნონეშვილი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა, ასტრონომიისა და კოსმოსურ კვლევათა პრობლემების სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ვ. პარეხეი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საბჭოს ოსეთის ავტონომიური ოლქის პასუხისმგებელი მდივანი ვ. ბალოევი, საქართველოს კომპარტიის გეგეჭორის რაიონის მეორე მდივანი გ. ბასილაია, კომპარტიის ფოთის ქალაქის კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბაბალეანი, ბაკურიანის ტურისტული ბაზის დირექტორი ბ. ბაბალეანი, ბ. ბ. ბ.



მესამე ასწლეულის დამდეგს

საბჭოთა კავშირის დიდ თეატრს არსებობის მესამე საუკუნე დაუდგა. ახალ სეზონს იწყებს „განთქმული „მუსიკის აკადემია“, რომლის 200 წლისთავი ამ გაზაფხულზე აღინიშნა როგორც საბჭოთა და მსოფლიო კულტურის ნამდვილი დღესასწაული. კოლექტივს ახალი ჩანაფიქრები და გეგმები, ახალი დადგმები აქვს. ამის შესახებ იყო საუბარი თეატრის დასის შეკრებაზე, რომელიც 16 სექტემბერს გაიმართა.

— მომავალი სეზონი, — თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის და კრემლის ყრილობათა სასახლის გენერალურმა დირექტორმა რუსეთის სფსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა კ. ა. ივანოვმა, — დაძაბული და საინტერესო იქნება. იგი კვირას გაიხსნება საიუბილეო სეზონის უკანასკნელი პრემიერით — ნ. რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკო“. დიდი რუსი კომპოზიტორის შემოქმედებით მემკვიდრეობა შემდგომ სასცენო განსახიერებას პოულობს: ჩვენ მაყურებელს გავაცნობთ მის ერთაქტიან ოპერას „მოცარტი და სალიერი“. დადგმას ახორციელებენ დირიჟორი გ. როჟდესტვენსკი და რეჟისორი ვ. პანკოვი. თეატრი ამთავრებს მუშაობას ა. დარგომიჟსკის ოპერა „ალზე“ (დადგმის ხელმძღვანელი ბ. პოკროვსკი, დირიჟორი ფ. მანსუროვი). ახალ სეზონში მაყურებლები ნახავენ დარგომიჟსკის კიდევ ერთ ქმნილებას — ოპერას „ქვის სტუმარს“.

მომავალი სეზონის საგულისხმო ნიშანთვისებაა პატიური მუშაობა საბჭოთა ავტორების ახალ თხზულებებზე. რეჟისორი ბ. პოკროვსკი და დირიჟორი ა. ლაზარევი დადგამენ ქართველი კომპოზიტორის ო. თაქთაკიშვილის ოპერას „მთვარის მოტაცება“. თავისი ახალი ნაწარმოები — ოპერა „მკვდარი სულები“ (ნ. გოგოლის ომონაგავი ქმნილების მოტივებზე) გადასცა დიდ თეატრს რ. შჩედრინმა.

საინტერესო გეგმები აქვს საბალეტო დასს. დიდი თეატრის სცენაზე პირველად ვიხილავენ ი. სტრავინსკის სპექტაკლს „ფირიას ამბორი“ კ. ჩაიკოვსკის თემებზე. ბალეტს დადგამს ი. გრიგოროვიჩი. კრემლის ყრილობათა სასახლეში მაყურებლები კვლავ ნახავენ ხ. სლონიმსკის ბალეტს „იკაროსი“ ვ. ვასილიევის ახალი ქორეოგრაფიული რედაქციით. კრეკ ნორჩ ხელოვნების მოყვარეთა ვაჟანაწყვეტებთ. მათთვის გამზადებთ სპექტაკლ „ჩიპოლინოს“, რომლის დადგმულია ბალეტმაესტერი გ. მაიოროვი. სეზონის შუახანებში თეატრის სამხატვრო საბჭო განიხილავს ალ. მაჰაპარიანის ბალეტ „ეშეხსიტყვასნინი“ დადგმის საკითხს.

რამდენიმე სიტყვა თეატრის საზღვარგარეთის გასტროლებზე. სეზონის დამთავრს საბალეტო დასის ნაწილი გაემგზავრება ფილიპინეებში, სადაც დიდ საკონცერტო პროგრამას აჩვენებს. გაზაფხულზე ჩვენს ბალეტს საფრანგეთში მიეელიან.

Ი. ვეჭსლერი.

გვეწვიეთ, თბილისელებო!

თბილისის სპორტის სასახლეში საიუბილეო პროგრამას გვიჩვენებს უკრაინული „ბალეტი ყინულზე“



თბილისის მაყურებელი ინტერესით შეხვდა უკრაინის მხატვრულ-სპორტული ანსამბლის — „ბალეტი ყინულზე“ საიუბილეო პროგრამის („ჩვენ თხუთმეტისანი ვართ“) პირველ წარმოდგენებს. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტის თხოვნით ანსამბლზე და მის საგასტროლო პროგრამაზე გვესაუბრება სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ზაიცევი:

— თბილისში კოლექტივი ჩამოვიდა ირანის დედაქალაქ თეირანში გამოსვლის შემდეგ, სადაც მიწვეული იყო სპორტის სასახლის გახსნაზე. ჩვენი ბალეტი სამი წლის წინათ გამოვიდა თბილისში. ამ წლების მანძილზე კოლექტივი საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ათეო ქალაქში მართავდა სპექტაკლებს. ანსამბლის კოლექტივი შესამედ ეწვია კოლონეთს, 1974 წლის აგვისტო-სექტემბერში გასტროლები გამართა ხიუ-იორკში, ვაშინგტონში, ბუფალოში, ტორონტოში, ბუდაპეშტში, ბაღდადში, ზაგრებსა და სხვა ქალაქებში.

თბილისში ანსამბლის კოლექტივმა ჩამოიტანა ახალი საიუბილეო პროგრამა ორ განყოფილებად („ჩვენ თხუთმეტისანი ვართ“), რომელიც დიდი წარმატებით ვუჩვენეთ თეირანში.

პროგრამაში შევიდა გასული წლების საუკეთესო ნომრები, ერთაქტიანი ბალეტების „შობის წინა ღამისა“, „ბახაფხულის ზღაპრის“ ფრაგმენტები, რომლებიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვახტანგ ერონსკიმ (ნადირაძემ — ქალაქ თბილისის მკვიდრმა. ანსამბლის პირველმა სამხატვრო ხელმძღვანელმა). ეს არ არის ნ. გოგოლისა და ა. ოსტროვსკის ცნობილი ნაწარმოებების შინაარსის უბრალო გადმოცემა; არამედ ორიგინალური წარმოდგენაა ყინულის სცენაზე თავისებური ქორეოგრაფიული გადაწყვეტით.

მეორე განყოფილება ეთმობა საკონცერტო დივერტისმენტ-რევიუს, რომელიც ცალკეული ნომრებისაგან შედგება. აქ ანსამბლი მაყურებლებს აცნობს (ეკვეგს — „მარადიულ (ციცხლ“ (ბეთოვენის დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნისადმი), „განთიადს ხორტიცაში“ — ზაპოროჟიელ კაზაკთა ცხოვრების ქორეოგრაფიულ ნანახატს, „მოგონებას“ (ბუსიკა ფრეხსის ლეისა), აკრობატიულ ნომრებს, სადაც ასრულებენ აკრობატიულ ილეთებს ცეგაურებით, კომიკურ ნომერს „ზმლები“ და ბევრი სხვ.

სპორტის სასახლის ყინულზე გამოდიან სსრ კავშირის ექსჰიმპიონი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ალეინა გრიგორევსკაია, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატების მონაწილეები, სსრ კავშირისა და სსრ კავშირის თასის ჩემპიონატების პრიზიორები, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ტატიანა შარანოვა და ანატოლი ივდოკიმოვი, უკრაინის სსრ ათგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი იური ორლოვი, 1975 წლის რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ლიიმო რენიკი, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ლიუდმილა და გლებ ტეპოები, ინ